საქართველოში, ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე,
მე-12-ე კორპუსის მცხოვრებთა საჩივარი

საჩივრების მიმღებ ოფიცერს
აზიის განვითარების ბანკი

6 ADB Avenue, Mandaluyong City 1550, Metro Manila, Philippines
ტელ: (+632) 632-4444
ფაქსი: (+632) 636 2086
ელ-ფოსტა: amcro@adb.org

ქალბატონო/ბატონო:

მოგახსენებთ, რომ ჩვენი საცხოვრებელი კორპუსი რომელიც მდებარეობს საქართველოში, ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, მოექცა თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის შუა (ფონიჭალას) მონაკვეთის პროექტის ზეგავლენის ქვეშ. კორპუსი არის დეფორმირებული და პროექტის ამჟამინდელი სახით განხორციელებამ (ჩვენი ინფორმაციით გზასა და საცხოვრებელ კორპუსს შორის მინიმალურ დაშორებად 14 მეტრია განსაზღვრული) შესაძლოა მას დამანგრეველი ზიანი მიაყენოს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლების ნაწილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებია; შესაბამისად, გზის კორპუსიდან 14 მეტრის დაშორებით გაყვანა მნიშვნელოვნად იმოქმედებს მათ ყოველდღიურ ყოფაზე (გაართულებს უსაფრთხოდ გადაადგილებას; გაზრდის ხმაურისა და ვიბრაციის ზეგავლენას).

ქვემოთ, აღწერილია მგფ-თან და აზიის განვითარების ბანკთან ჩვენი კომუნიკაციის ქრონოლოგია:

თავდაპირველად, პროექტის შესახებ ჩვენ, მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) წარმომადგენლების მიერ 2013 წლის აგვისტოში გამართულ საჯარო განხილვაზე შევიტყვეთ. საჯარო განხილვას ჩვენთან ერთად, გზის მიმდებარედ განლაგებული სხვადასხვა საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლები ესწრებოდნენ. საჯარო განხილვაზე მგფ-ის წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ გზასთან რამოდენიმე მეტრიანი კედელი აშენდებოდა და გზის მხარეს მეტალოპლასტმასის ფანჯრებს ჩაგვისვამდნენ. ეს შემოთავაზება ჩვენთვის მიუღებელი იყო, ამდენად ჩვენ იმავე დღეს გამოვხატეთ უარყოფითი დამოკიდებულება პროექტის მიმართ. ვინაიდან მოლაპარაკება ვერ მოხერხდა, ჩვენ, პროტესტის ნიშნად, დავტოვეთ შეხვედრა.

დროდადრო გამგეობის წარმომადგენლებისაგან (სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით) ვიღებდით ინფორმაციას, რომ პროექტი განხორციელდებოდა, თუმცა ჩვენთან მოსალაპარაკებლად არავინ მოსულა.

2014 წელს ჩვენი კორპუსის მაცხოვრებლებმა, გამგეობის დახმარებით დავიქირავეთ დამოუკიდებელი კომპანია შპს „ლაბორატორია", რომელსაც შევუკვეთეთ ჩაეტარებინათ კვლევა საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ (იხ. დანართი #1).

ამის შემდეგ, 2015 წლის თებერვალში მგფ-დან კვლავ მოვიდნენ წარმომადგენლები, რომლებსაც კორპუსის ინვენტარიზაცია უნდა ჩაეტარებინათ. ჩვენ მათ წინააღმდეგობა გავუწიეთ სანამ გამგებელი და საკრებულოს დეპუტატი (ზუკა ნაცვლიშვილი) არ მოვიდა. მათ პირობა დადეს, რომ ჩვენ პროექტის შედეგად დაზარალებული არ დავრჩებოდით. ამის შემდეგ, ჩვენი ნებართვით ინვენტარიზაცია ჩატარდა და კორპუსის სიმტკიცის დასადგენად სინჯებიც აიღეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინვენტარიზაციის დასრულებისთანავე მგფ-ის წარმომადგენლების მიერ დაქირავებულმა პირებმა (მათ ვინც კორპუსის სიმტკიცეზე ანალიზი აიღეს) გვითხრეს, რომ წესით, კედლის სიმტკიცე 500 ერთეული უნდა იყოს, თუმცა აქ მხოლოდ 180 ერთეულიაო. ამავე დღეს დაგვპირდნენ, რომ საბოლოო დასკვნასა და შედეგებს 18 აპრილს გაგვაცნობდნენ, თუმცა, საბოლოო დასკვნა დღემდე არ მიგვიღია.

2015 წლის მაისში, პროტესტის ნიშნად, გადავკეტეთ თბილისი - რუსთავის დამაკავშირებელი გზა. ჩვენი მოთხოვნა იყო ქალაქის მერთან შეხვედრა და გარანტიის მიცემა, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ჩვენი ინტერესები დაცული იქნებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ აქციას არ მოჰყვა შესაბამისი პირების რეაქცია; ჩვენთან არცერთი დაწესებულების წარმომადგენლები გარდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარისა და ჟურნალისტებისა (მაესტრო და რუსთავი2-ის ჟურნალისტები) არ მოსულა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე დაგვპირდა, რომ გამგებელი 1 ივნისს მოვიდოდა და ჩვენ პრობლემას ადგილზე გაეცნობოდა, თუმცა, ასე არ მომხდარა.

2015 წლის 1 ივნისს მოსახლეობა ისევ შეიკრიბა და უსინათლოთა კლუბთან მოვაწყვეთ საპროტესტო აქცია; ამჯერად აქციაზე მხოლოდ საპატრულო პოლიცია მოვიდა (პროექტისთვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დაჭერით დაგვემუქრნენ).

2015 წლის სექტემბერში მგფ-მ კვლავ მიგვიწვია პროექტის საჯარო განხილვაზე. საჯარო განხილვაში კორპუსის საინიციატივო ჯგუფის რამოდენიმე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა და კვლავ წარადგინა ჩვენი ზემოაღნიშნული მოთხოვნები. პასუხი კვლავ იგივე იყო: მიუხედავად წინააღმდეგობისა, გზის მარშრუტი არ შეიცვლებოდა და არც ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფას უზრუნველყოფდნენ. აღსანიშნავია, რომ განხილვაზე მგფ-ს წარმომადგენლებმა შემდეგი განმარტება გააკეთეს: იმ შემთხვევაში თუ პროექტის განხორციელების შემდეგ საცხოვრებელი კორპუსის მდგრადობას საფრთხე დაემუქრება, პასუხისმგებლობას თავისთავზე ვერავინ აიღებსო.

2015 წლის 10 ნოემბერს შევხვდით აზიის განვითარების ბანკის საქართველოში წარმომადგენლებს, თეა პაპუაშვილს და მედგარ ჰელიმეს. მედგარ ჰელიმემ გვითხრა, რომ ჩვენ მოთხოვნებს სრულად ეთანხმებოდა. მხოლოდ გვთხოვა მისთვის წერილობით მიგვეწოდა და სრულყოფილად ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი მოთხოვნები. ასევე დაგვპირდნენ, რომ აზიის განვითარების ბანკის უცხოელ თანამშრომლებთან მოგვიწყობდნენ შეხვედრას.

2015 წლის 16 ნოემბერს შეხვედრა გვქონდა მგფ-ის წარმომადგენელთან დავით ტაბიძესთან. რომელმაც გვითხრა, რომ ჩვენი განსახლება არასდროს არ განიხილებოდა და კორპუსსაც არ ესაჭიროებოდა გამაგრება. ასევე დაამატა, რომ წინა პროექტის მიხედვით როგორც იყო განსაზღვრული ფანჯრების გამოცვლა ვერ მოხერხდებოდა, იმიტომ რომ შეიძლება ამას კორპუსის დაზიანება გამოეწვია.

ამავე დღეს შეხვედრა გვქონდა აზიის განვითარების ბანკის უცხოელ წარმომადგენლებთან. მათაც გვიპასუხეს, რომ ეს სახელმწიფო პროექტია და ამის შეცვლა შეუძლებელიაო. ეს პროექტი თქვენ პირდაპირ არ გეხებათ, არ გაზიანებთ, თანაც ქალაქში ცხოვრობთ და მსგავსი სახის რამ შეიძლება მოხდესო. შესაბამისად ამ მდგომარეობას უნდა შეეგუოთო, აქედან გამომდინარე, ამ დროისათვის

თქვენი კორპუსი განსახლებას არ ექვემდებარებაო. ბეტონის კედლის ნაცვლად შეიძლება უკეთესი ხმის დამხშობი გავაკეთოთ და მადლობელი უნდა იყოთო. ამ ფართისთვის, თქვენი დახმარება არ შეგვიძლია, რადგან საქართველოს კანონმდებლობა ამის საშუალებას არ გვაძლევსო. შემდეგ მოგვიწოდეს რომ მგფ-ის წარმომადგენლებთან გაგვეგრძელებინა მოლაპარაკება და კომპენსაციაზე შევთანხმებულიყავით.

რამოდენიმე დღის შემდეგ შეხვედრა გვქონდა მგფ-ის წარმომადგენელთან დავით ტაბიძესთან, რომელმაც კომპენსაციის ნაცვლად კორპუსის მდგრადობის შესწავლა შემოგვთავაზა. ასევე დაამატა, რომ ისინი ვინც კომპენსაციას აიღებენ შემდეგ პრეტენზია არ ექნებოდეთო. დაველოდოთ თუ კორპუსი დაიბზარა მაშინ გადაგასახლებთო. ამის შემდეგ, ისევ შევხვდით დავით ტაბიძეს, თუმცა ამ შეხვედრებს არანაირი შეთანხმება არ მოჰყოლია.

2015 წლის 19 დეკემბერს კვლავ გავმართეთ საპროტესტო აქცია, სადაც რუსთავი 2-ის ჟურნალისტების გარდა არავინ მოსულა და არც არავინ გამოგვხმაურებია.

2015 წლის ივნისიდან, ჩვენ ასევე დავიწყეთ წერილობითი კომუნიკაცია მგფ-სა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან:

1. 2015 წლის 24 ივნისის განცხადებით მივმართეთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს და მოვითხოვეთ, გაეწიათ ჩვენთვის შუამდგომლობა შესაბამის სამსახურებთან, რადგან იმ შემთხვევაში თუკი ავტობანის მიმართულება არ შეიცვლებოდა ჩვენსავე რაიონში შემოეთავაზებინათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი (იხ. დანართი #2). პასუხი ამ წერილზე დღემდე არ მიგვიღია.

2. 2015 წლის 24 ივნისის განცხადებით მივმართეთ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ ეკა ბესელიას (იხ. დანართი #3), რომელმაც ჩვენი წერილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაამისამართა (იხ. დანართი #4). პასუხად, 2015 წლის 14 აგვისტოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მივიღეთ მგფ-ს მიერ სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილის ასლი, სადაც ნათქვამი იყო, რომ მრავალსართულიანი კორპუსების მაცხოვრებელთა ალტერნატიული ფართით დაკმაყოფილებას, ამ ეტაპზე, პროექტი არ ითვალისწინებდა (იხ. დანართი #5).

3. 2015 წლის 24 ივნისის განცხადებით მივმართეთ საქართველოს პრემიერ მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს და მოვითხოვეთ, გაეწიათ ჩვენთვის შუამდგომლობა შესაბამის სამსახურებთან, რადგან იმ შემთხვევაში თუკი ავტობანის მიმართულება არ შეიცვლებოდა ჩვენსავე რაიონში შემოეთავაზებინათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი (იხ. დანართი #6). პასუხი ამ წერილზე დღემდე არ მიგვიღია.

4. 2015 წლის 24 ივნისის განცხადებით მივმართეთ ქ. თბილისის კრწანისის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, შოთა ხაბარელს და მოვითხოვეთ ჩვენი საკითხი გაეტანათ პარლამენტში განსახილველად (იხ.დანართი #7). განცხადების შეტანიდან რამოდენიმე დღეში, ბატონი შოთა მოვიდა ჩვენთან შესახვედრად და დაგვპირდა, რომ ამ საკითხს აუცილებლად განიხილავდა პარლამენტის სხდომაზე, თუმცა ასე არ მომხდარა.

5. 2015 წლის 14 ივლისის განცხადებით მივმართეთ მგფ-ს დირექტორს, ილია დარჩიაშვილს და მოვითხოვეთ, განეხილათ საავტომობილო გზის მეორე მხარეს გადართვის ალტერნატივა ან შემოეთავაზებინათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი (იხ. დანართი # 8). პასუხი ამ წერილზე დღემდე არ მიგვიღია.

6. 2015 წლის 14 ივლისს იულისს წერილებით მივმართეთ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს და მოვითხოვეთ, განეხილათ გზის მეორე მხარეს გაფართოების ალტერნატივა ან ან შემოეთავაზებინათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი (იხ. დანართი #9). პასუხი არც ამ წერილზე მიგვიღია დღემდე.

7. 2015 წლის 14 ივლისს განცხადებით მივმართეთ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ნოდარ ჯავახიშვილს და მოვითხოვეთ, განეხილათ გზის მეორე მხარეს გაფართოების ალტერნატივა ან შემოეთავაზებინათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი (იხ. დანართი #10). პასუხი არც ამ წერილზე მიგვიღია დღემდე.

8. 2015 წლის 9 ნოემბერს საჩივრით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორს ქალბატონ იესიმ ელჰან კაილარსა და აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს ბატონ მედგარ ჰელიძეს (იხ. დანართი 11). პასუხი არც ამ წერილზე მიგვიღია დღემდე.

მოგახსენებთ, რომ ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ საავტომობილო გზის გაფართოების საჭიროებას და ზოგადად, პროექტის მნიშვნელობას, მაგრამ, ამასთანავე, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ პროექტის გამო არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი ჩვენი უფლებები და ინტერესები; პროექტის გამო, არ უნდა შეილახოს ჩვენი უფლება, ვიცხოვროთ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დეტალურად განიხილოთ თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის ზეგავლენა ჩვენს საცხოვრებელ კორპუსზე, მაცხოვრებლების სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე ქონებაზე, გთხოვთ, შეისწავლოთ და შემოგვთავაზოთ პროექტის განხორციელების ისეთი ალტერნატივები, რომელიც არ მოგვაყენებს ზიანს ჩვენ და ჩვენს ქონებას.

დანართის სახით გიგზავნით ჩვენს მიერ გაგზავნილი წერილის ასლებს და შპს „ლაბორატორია"-ის მიერ ჩატარებული კვლევის დასკვნას ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

დანართი: 66 გვერდი

პატივისცემით,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ანივე ნიჟარაძე | [illegible] | | |
| 2. | ნათია ბიწკინაშვილი | Ms. Natia bitkinashvili | | |
| 3. | ლამარა იორდანიძე | Ms. Lamara Iordanidze | | |
| 4. | ზაზა ბიგიაშვილი | Ms. Zaza Bigiashvili | | |
| 5. | მარინე შუბითიძე | Ms. Marine Shubitidze | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 6. | აიდა მარქარიანი | Ms. Aida Marqariani | |
| 7. | დიანა ბოტკოველი | Ms. Diana Botkoveli | |
| 8. | მედეა სიდამონიძე | Ms. Medea Sidamonidze | |
| 9. | ეკატერინე ფანცხავა | Ms. Ekaterine Phanckh | |
| 10. | მერი დალაქიშვილი | Ms. Meri Dalaqishvili | |
| 11. | აბას ავდალოვი | Mr. Abas Avdalovi | |
| 12. | რუსუდან დეკანოიძე | Ms. Rusudan Dekanoidze | |
| 13. | იზაბელა კაზარიანი | Ms. Izabela Kazariani | |
| 14. | ნაირა მაღრაძე | Ms. Naira Magradze | |
| 15. | თეა მესტვირიშვილი | Ms. Tea Mestvirishvili | |
| 16. | სირანუშ ჩტჩიანი | Ms. Siranush Chtchiani | |
| 17. | ირაკლი მაისურაძე | Mr. Irakli Maisuradze | |
| 18. | აკაკი ფირცხალავა | Mr. Akaki Phirckhalava | |
| 19. | გოჩა ზაფირიდი | Mr. Gocha Zaphiridi | |
| 20. | ალბერტი ვართანიანი | Mr. Albert Vartaniani | |
| 21. | თენგიზი ამირიძე | Mr. Tengiz Amiridze | |
| 22. | თეა დემეტრაშვილი | Ms. Tea Demetrashvili | |
| 23. | მარინე გალუსტიანი | Ms. Marine Galustiani | |
| 24. | ემა ვართანიანი | Ms. Ema Vartaniani | |
| 25. | ზინა შამოევა | Ms. Zina Shamoeva | |
| 26. | ვიქტორია კაროლ | Ms. Viktoria Karol | |
| 27. | კობა ჭიღლაძე | Mr. Koba Chigladze | |
| 28. | რაულ მაქაძე | Mr. Raul Maqadze | |
| 29. | ნანა დინგაშვილი | Ms. Nana Dingashvili | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30. | ნინო შუკაკიძე | Ms. Nino Shukakidze | | |
| 31. | ლეილა ხოსიტაშვილი | Ms. Leila Khositashvili | | |
| 32. | ლია ვეკუა | Ms. Lia Vekua | | |
| 33. | ვალენტინა შლეირე | Ms. Valentina Shleire | | |
| 34 | რაჭიკ სარქისიანი | Mr. Ratchik Sarkisiani | | |
| 35 | დარეჯან ნიკოლიშვილი | Ms. Darejan Nikolishvili | | |
| 36. | გურამ გვიანიძე | Mr. Guram Gvianidze | | |
| 37. | ნინო შალიბაშვილი | Ms. Nino Shalibashvili | | |
| 38. | ჯონი ცერცვაძე | Mr. Joni Cercvadze | | |
| 39. | ქეთო ჩკადუა | Ms. Keto Chkadua | | |
| 40. | ივეტა ნავტიკოვა | Ms. Iveta Navtikova | | |
| 41. | კახა ახვლედიანი | Mr. Kakha Akhvlediani | | |
| 42. | არმიკ ავდალიანი | Mr. Armik Avdaliani | | |
| 43. | ალიონა სინეროვა | Ms. Aliona Sinerova | | |
| 44. | მარია კოზმოვა | Ms. Maria Kozmova | | |
| 45. | ემა ხატოევი | Ms. Ema Khatoevi | | |
| 46. | ნუგზარ ყელბერაშვილი | Mr. Nugzar Yelberashvili | | |
| 47. | ნატალია რატიანი | Ms. Natalia Ratiani | | |
| 48. | ალვინა კოჩიდუ | Ms. Alvina Kochidu | | |
| 49. | ლოვა პანასიანი | Mr. Lova Panasiani | | |
| 50. | ზაირა აბაზოვა | Ms. Zaira Abazova | | |
| 51. | ცირა ხიტაროვა | Ms. Cira Khitarova | | |
| 52. | მაია მიკირტიჩიანი | Ms. Maia Mikirtichiani | | |
| 53. | მანანა ფანცულაია | Ms. Manana Phanculaia | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 54. | ვაჟა ხადური | Mr. Vaja Khaduri | |
| 55. | ქრისტინა კურგიანი | Ms. Kristina Kurgiani | |
| 56. | ედუარდ ბეგოევი | Mr. Eduard Begoevi | |
| 57. | თემური შუბითიძე | Mr. Temur Shubitidze | |
| 58. | მარინა მარტიროსიანი | Ms. Marina Martirosiani | |
| 59. | ლელა ილიაევა | Ms. Lela Iliaeva | |
| 60. | ფიქრია გოგიშვილი | Ms. Phiqria Gogishvili | |
| 61. | ალა დევიატკინა | Ms. Ala Deviatkina | |
| 62 | ნიკოლოზ ლალიაშვილი | Mr. Nikoloz Laliashvili | |
| 63. | შორენა მაჩიტაძე | Ms. Shorena Machitadze | |
| 64. | ანზორ გვიშიანი | Mr. Anzor Gvishiani | |
| 65. | მანონი სართაია | Ms. Manoni Sartaia | |
| 66. | შოთა არჩაია | Mr. Shota Archaia | |
| 67. | ლალი ფეიქრიშვილი | Ms. Lali Peikrishvili | |
| 68. | გრიშა გალოიანი | Mr. Grisha Galoiani | |
| 69. | ლეილა კაზაროვი | Ms. Leila Kazarovi | |
| 70. | ზინა ავდალოვი | Ms. Zina Avdalovi | |
| 71. | ცისანა კავთელაშვილი | Ms. Cisana Kavtelashvili | |
| 72. | სამანა დგებუაძე | Ms. Samana Dgebuadze | |
| 73. | ჯუმბერ სეკანია | Mr. Jumber Sekania | |
| 74. | ნუგზარ ზუბალოვი | Mr. Nugzar Zubalovi | |
| 75. | შორენა სარიშვილი | Ms. Shorena Sarishvili | |
| 76. | ევგენია პოღოსოვი | Ms. Evgenia Pogosovi | |
| 77. | ქრისტინე კალაშოვი | Ms. Kristine Kalashovi | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 78. | ნიაზ ბეჭვაია | Mr. Niaz Bechvaia | | |
| 79. | სილვა ვართანიანი | Mr. Silva Vartaniani | | |
| 80 | ნინო ჩაფიძე | Ms Nino Chapidze | | |
| 81 | ლედი გელაშვილი | Ms. Ledi Gelashvili | | |